პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი
№ 77 (13198) | პარასკევი, 2 აპრილი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

დამამთავრებელი წელი შვიდწლედისა

თქვენთვის მეჩაიეებო!

— ვადაზე ადრე შეასრულოთ სოფლის მეურნეობის დაკვეთები, ჩვენი წვლილი შევიტანოთ სკკ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში — ამ ლოზუნგით იბრძვის ახლა საქართველოს სახოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებლო ქარხნის კოლექტივი. წელს შეჩაიეებს საწარმო გაუგზავნის 500 ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს". ახლა მიმდინარეობს ამ მანქანების აწყობა. აქ დიდ ყურადღებას აქცევენ მანქანის აწყობის ხარისხს. ამწყობ საამქროში უკვე განლაგდა რამდენიმე „საქართველო", რომელიც მალე გაიგზავნება დანიშნულებისამებრ.

სურათზე: ამწყობი საამქროს მეხუთე უბნის მოწინავე ზეინკლები ნუგზარ გულაგაშვილი (მარჯვნივ) და შალვა მახარობლიშვილი, რომლებიც ჩაის საკრეფი მანქანის აწყობაზე მუშაობენ და ყოველდღიურ დავალებას 115-120 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა

სამუშაოზე, ამხანაგო დეპუტატებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის. პლენუმის გადაწყვეტილებები ნაკარნახევია ცხოვრებით, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განუხრელი აღმავლობის ინტერესებით, მშრომელთა ყოფაცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ზრუნვით.

წარმატებით რომ განვახორციელოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის შემდგომი განმტკიცებისათვის, სოფლის მშრომელთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებისათვის პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი, საჭიროა ძირეულად გავაუმჯობესოთ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა.

ყველასათვის ცხადია, რომ უკანასკნელ პერიოდში დაქვეითდა საბჭოების როლი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში, საბჭოები მოსწყდნენ პრაქტიკულ საქმიანობას.

ყველაფერი ეს პარტიამ დროზე შენიშნა. პარტია ზრუნავს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების როლისა და აქტივობის ამაღლებისათვის. ამ ზრუნვით არის გამსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილება სამრეწველო და სასოფლო პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების გაერთიანების შესახებ. ცნობილია, რომ საბჭოების დაყოფამ სამრეწველო და სასოფლო ორგანოებად უარყოფითი გავლენა მოახდინა მათს საქმიანობაზე, შეამცირა ადგილობრივი საბჭოების როლი, რომლებიც ფაქტიურად მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას აქტიურად ჩარეულიყვნენ სამეურნეო მშენებლობის საქმეებში. ერთიანი საბჭოთა ორგანოების აღდგენამ ადგილებზე გააფართოვა მათი უფლებები და შესაძლებლობანი, ხელი შეუწყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კავშირს, ჩვენი საზოგადოების ყველა სოციალური ფენის ერთობის განმტკიცებას, საზოგადოებისა, რომლის განსახიერებაც საბჭოები არიან.

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს რესპუბლიკაში დამთავრდა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. საქართველოს მშრომელებისათვის საბჭოების არჩევნები დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა იყო. არჩევნებმა ხელი შეუწყო ჩვენი საერთო-სახალხო სახელმწიფოსა და მისი ორგანოების ყოველი ღონისძიებით განმტკიცებას, სოციალისტური დემოკრატიის კიდევ უფრო გაშლასა და საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, განსაზღვრავს რა სახელმწიფოს მართვის დემოკრატიული პრინციპების განვითარების გზებს, აღნიშნავს: „კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში გაიზრდება საბჭოების როლი, რომლებიც ხალხის ყოველისმომცველი ორგანიზაცია, მისი ერთიანობის განსახიერება არიან. საბჭოები, რომლებშიც ერთმანეთთან შეხამებულია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნიშნები, სულ უფრო მეტად გაგოდიან რეგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაშიც ფართოდ და უშუალოდ მონაწილეობენ მასები".

საბჭოები გამოხატავენ ხალხის სრულ ძალაუფლებას, საბჭოები ძლიერი არიან თავიანთი მასობრივობით. სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში მათთან ერთად მონაწილეობს მრავალი აქტივისტი.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების აგების ტერიტორიულ-საწარმოო პრინციპის აღდგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რაიონული რგოლის განმტკიცებისათვის, რაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება, მთელი ჩვენი მუშაობის წარმატება ადგილებზე. მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოებს ახლა შეუძლიათ იმუშაონ დაკიდეგაც უნდა იმუშაონ უფრო ენერგიულად და მიზანსწრაფულად თავიანთი რაიონის განვითარების საკითხებზე.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების, დაბებისა და სოფლების მშრომელნი დიდად არიან დაინტერესებული, რომ საბჭო მუშაობდეს ისე, როგორც ამას უყარნახებს ხალხის ინტერესები, კომუნისტური მშენებლობის ინტერესები.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები აკისრიათ ახლა ადგილობრივ საბჭოებს, დეპუტატებს. საბჭოებმა მთელი ძალღონე უნდა მოახმარონ პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას, შვიდწლედის დამამთავრებელი წლის — 1965 წლის სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულებას. ამომრჩევლები იმედს გამოთქვამენ, რომ დეპუტატები გამოიჩენენ მეტ ინიციატივასა და გულმოდგინებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საარსებო პრობლემების გადაჭრაში. მშრომელები მოითხოვენ, რომ მათ რჩეულნი უკეთ ზრუნავდნენ ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის, ბინების, სკოლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებისათვის, მოსახლეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის. დეპუტატები უნდა იყვნენ ყველაზე აქტიური და მგზნებარე მებრძოლნი საბჭოთა აპარატში ბიუროკრატიზმისა და სამრეწველო ყოფაცხოვრების ყოველგვარი ნაკლოვანებების წინააღმდეგ. უზრუნველყოფილნენ გულისხმიერ დამოკიდებულებას მშრომელთა ვანცხადებებისა და მოთხოვნილებებისადმი.

ადგილობრივი საბჭოების როლის, მათი დეპუტატების აქტივობის ამაღლება შესაძლებელია მხოლოდ ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ლენინური პრინციპების განუხრელად დაცვის პირობებში. თავიანთი ბუნებით საბჭოები განასახიერებენ კოლექტიურ გონებას და გამოცდილებას, ისინი კოლეგიური ორგანოები არიან. ყველა საკითხს საბჭოებში ერთად განიხილავენ და წყვეტენ დეპუტატები. მაგრამ ეს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან არც ერთ დეპუტატს, არც ერთ საბჭოთა მუშაკს. საბჭოთა დეპუტატი აღჭურვილია დიდი ნდობით, მას დიდი უფლებები აქვს. კომრჩეველთა ნების, მათი განაწესების შესრულებისას, დეპუტატი უნდა მოქმედებდეს მთელი თავისი ენერგიითა და პრინციპულობით. სახელმწიფო ორგანოები, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, ვალდებულნი არიან ყურად ღონ დეპუტატთა ხმა, მათი რჩევა და წინადადებანი, განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი მათ მიერ წამოყენებული საკითხების გადასაჭრელად.

არჩევნების შედეგად ახალი ძალები შეემატა ადგილობრივ საბჭოებს, განმტკიცდა საბჭოთა ორგანოები. ახლა საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოებს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით უფრო აქტიურად შეუძლიათ იბრძოლონ იმ დიდი ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა დასახა.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დამთავრებიდან სულ ცოტა დრო გავიდა, მაგრამ საბჭოები საქმეს შეუდგნენ. ახლა უფრო უნარიანად წყვეტენ პრაქტიკულ ამოცანებს, განმტკიცებენ კავშირს მასებთან. რაიხალკომი და სასოფლო საბჭოს აღმასკომების მუშაკები უფრო ხშირად არიან კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში პრაქტიკული დახმარების გასაწევად, უკეთ სწავლობენ და სწვდებიან საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიკას, ავლენენ გამოუყენებელ რეზერვებს, ახორციელებენ პრაქტიკული ღონისძიებებს სახლხო მეურნეობის ყოველგვარი განვითარებისთვის. ბევრი დეპუტატი პირადი მაგალითით უჩვენებს ყველას, თუ როგორ უნდა პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლა.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, თავიანთი მოწოდების სიმაღლეზე მხოლოდ მაშინ აღმოჩნდებიან, თუ სისტემატურად იზრუნებენ მასობრივ-ორგანიზაციული მუშაობის სრულყოფისათვის, შემდგომ განმტკიცებენ კავშირს მასებთან, ყურს დაუგდებენ მათს ხმას, გადმოიღებენ და პრაქტიკულ მუშაობაში დანერგავენ მოწონაგე საბჭოებისა და დეპუტატების გამოცდილებას.

საჭიროა ამთავითვე ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ საბჭოები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის აქტიური მებრძოლნი გახდნენ.

კვარტალის გეგმა გადამეტებით

თბილისის ქარხანა „ელექტროიზოლიტი" შვიდწლედის პირმშოა. აქ დამზადებულ ელექტროსაიზოლაციო მასალებს კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც.

ქარხნის კოლექტივი მონდომებით იბრძვის შვიდწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა წარმატებით გასანაღდებელად. პირველი კვარტალის გეგმა მან 103,1 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 70 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

ტყვარჩელელები ყარაგანდაში

ტყვარჩელის მეშახტეთა დელეგაცია ამ დღეებში გაემგზავრა ყარაგანდაში. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მმართველი ა. ვარდიშვილი, ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ტყვარჩელის რაიკომის თავმჯდომარე ო. გვაძაბია, მეთხუთე შახტის მთავარი ინჟინერი ა. შარაძენიძე, მეხუთე შახტის მთავარი ინჟინერი რ. ქეცბაია, ნოვადორი მეშახტეები ი. ხელაია და ი. სორდია.

ტყვარჩელელები გაეცნობიან ყარაგანდის „აბაიქვანახშირის" ტრესტის შახტების მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს, თავიანთი მუშაობის გამოცდილებას კი გაუზიარებენ ყარაგანდელ მაღაროელებს. გარდა ამისა ტყვარჩელელ მეშახტეთა წარმომადგენლები გაიფორმებენ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას „აბაიქვანახშირის" ტრესტის მეშახტეებთან.

ლ. ჰითანავა.

ქართველი ბიბლიოთეკა

ჰარგნის სიახლენი

ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის შუშის ქარხნის კოლექტივმა 101,5 პროცენტით შეასრულა პირველი კვარტალის დავალება და გეგმის გადამეტებით 162 ათასი ბოთლი გამოუშვა. შრომის ნაყოფიერების ზრდამ გეგმით გათვალისწინებულს ორი პროცენტით გადააჭარბა. შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევიან ა. სოხოკოხა და ს. ჭინჭარაძის ბოთლების დამამზადებელი ბრიგადები. მათ კვარტალის დავალება 110 პროცენტით გაანაღდეს.

მიმდინარე წელს ქარხანაში მნიშვნელოვანი სიახლეები ინერგება. მთავარი კონსტრუქტორის ვ. ფავლენიშვილის წინადადებით განხორციელდა ვაკუუმტრანსპორტირების ხაზი კაზმის დამამზადებელი საამქროდან დამყალიბებელ საამქრომდე. ადრე თუ მზა კაზმის მიწოდება ძირითად საამქრომდე ხელით ხდებოდა, ახლა ეს პროცესი მექანიზებულია. კაზმი გაიშვიათებული ჰაერის საშუალებით შეიწოვება მილებში და გადმოდის ღუმელებამდე. ეს სიახლე ქარხანას ნ ათას მანეთამდე წლიურ ეკონომიას მისცემს.

ჯაჭიბრეგა გრძელდეგა

ჰაბუშრა. (საკ. კორ.). ამას წინათ გაიმართა მარგანეცის მრეწველობის სამეურნეო-პროფკავშირული აქტივის კრება. გასული წლის მუშაობის შედეგებსა და 1965 წლის ამოცანებზე ილაპარაკა მარგანტრესტის მმართველმა ლ. გოშმოთელიანმა.

აქტივის კრებამ გააგრძელა შეჯიბრება ნიკოლოლის მარგანტრესტთან და იკისრა ახალი ვალდებულებანი. ჭიათურელებმა იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მიცემენ სამშობლოს 45 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის" საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის" ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **ბენდელიანს** დაშა ერმალოს ასულს — დიასახლისს, ლენტების რაიონის სოფელი დურაში.
2. **ბერიანიძეს** სოფიო გიორგის ასულს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფელ დადიანეთის კოლმეურნეს.
3. **ბულისკერიას** კლავდია პავლეს ასულს — აფხაზეთის ასსრ-გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს.
4. **გალსტიანს** გოჰარიკ არშალუისის ასულს — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი დაბინა.
5. **გობოზოვა** ნადეჟდა იაგორის ასულს — დიასახლისს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონის სოფელი ზნაური.
6. **დუმბაძეს** ნურიფე ზაბითის ასულს — აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფელ ბაკოს კოლმეურნეს.
7. **ენიკს** სონჩკა ჩიფსოს ასულს — აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის სოფელ ბარმიშის კოლმეურნეს.
8. **ეს-ოღლის** ოლღა ქუჩუს ასულს — აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის ცხაკაიის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს.
9. **ქარდავას** თათეშა გრიგოლის ასულს — აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს.
10. **მოხტაბარს** ახატ ყზის — ბოლნისის რაიონის არახლოს მებოსტნეობა-მეძროვეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას.
11. **ნავროზიანს** ზახო ასოის ასულს — მუშას, ქალაქი თბილისი.
12. **რაზოევას** ხანუმ ხატეტის ასულს — დიასახლისს, ქალაქი თბილისი.
13. **სალაგინს** ანაზ ყზის — ლაგოდეხის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს.
14. **ფაღავას** ხაჯე ალის ასულს — აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეს.
15. **წიწვიძეს** ლუბა დავითის ასულს — ჭიათურის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1965 წლის 27 მარტი.

... მოსკოვი ტაშს უკრავს!...

კოსმონავტების პ. ი. ბელიაევისა და ა. ა. ლეონოვის საზეიმო შეხვედრას მოსკოვში მიეძღვნა დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის ფერადი ფილმი „მოსკოვი ტაშს უკრავს კოსმოსის გმირებს". 31 მარტს სურათი უჩვენეს მოსკოვის ეკრანებზე.

კინოკადრებში ალბეჭდილია ვნუკოვოს აეროდრომი, პოლკოვნიკ ბელიაევის პატაკი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისადმი, კოსმონავტების ტრიუმფული სალა გმირების ტრასაზე — ლენინის პროსპექტზე წითელი მოედნისაკენ. ფილმი ასახავს მიტინგს წითელ მოედანზე, დარბაზობას კრემლის დიდ სასახლეში.

საზეიმო კრება მოსკოვში

1 აპრილს კრემლის თეატრში გაიმართა მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც უნგრეთის განთავისუფლების 20 წლისთავს მიეძღვნა.

შეკრებილნი გულითადად მიესალმნენ უნგრელი ხალხის წარმომადგენლებს — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს საბჭოთა კავშირში ი. სიპკას, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი გეზა რეგესი, უნგრელ მწერლებსა და კინემატოგრაფისტებს, უნგრეთის საელჩოს დიპლომატიურ თანამშრომლებს.

პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. ვორონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ნ. ტიტოვი და სხვა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ეგორიჩევმა.

მოხსენება სახელოვანი 20 წლისთავის შეახებ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ი. ვორონოვმა. (საკდესი).

... ...

... ...

... ...

ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულის

51-ე ტომი

გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის 51-ე ტომი, რომელიც მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

ტომში შედის 628 წერილი, ბარათი, დეპეშა, ტელეფონოგრამა, რომლებიც დაწერილია 1919 წლის იანვრისიდან 1920 წლის ნოემბრამდე. აქედან 562 დოკუმენტი არ შედიოდა თხზულებათა წინა გამოცემებში, ხოლო 126 დოკუმენტი პირველად ქვეყნდება.

ტომის მასალები ცხადყოფენ, თუ რა გიგანტურ მოღვაწეობას ეწეოდა ვ. ი. ლენინი საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვისათვის, მტრის განადგურებისა და მსოფლიოში პირველი პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნის დაცვის ორგანიზაციისათვის. ამ მასალებში ასახულია საბჭოთა ხელისუფლების ძალისა და ძლიერების წყაროები, ის ამოცანები, რომლებიც დასახული იყო ქვეყნის წინაშე და უწინარეს ყოვლისა სოციალისტური სამშობლოს დაცვის ამოცანები. მთავარსარდლობის, რესპუბლიკისა და ფრონტების რევოლუციური სამხედრო საბჭოების დივიზიებისა და განსაკუთრებული არმიების სამხედრო კომისრებისათვის გაგზავნილი დეპეშები მოწმობენ, თუ როგორ ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი საბჭოთა შეიარაღებული ძალების მშენებლობას, როგორ განმარტავდა სამხედრო-სტრატეგიული გეგმების ძირითად დებულებებს.

ტომში დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის წერილები უფელი მუშებისადმი, ტულის ქარხნის მელიორიტებისადმი, ჩერემხოვოს მაღაროელებისადმი, როსლებშიც ლენინი მიესალმება მუშათა სიმტკიცეს და მზადყოფნას ყველა დაბრკოლებისა და სიძნელის გადასალახავად. „სწორედ მუშების, მშრომელი მასების ეს სიმტკიცე მმატებს რწმენას ისევე როგორც ყველა კომუნისტს, — წერს ლენინი, — რომ გარდუვალად მოიპოვებენ მუშები მსოფლიო გამარჯვებას და გაიმარჯვებს მუშების საქმე“ (გვერდი 282). ლენინის წერილები, ბარათები, დეპეშები მოწმობენ, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი ტექნიკის განვითარებას, სახალხო მეურნეობაში მეცნიერების უახლეს მიღწევათა უსწრაფესად დანერგვას.

ტომში იბეჭდება ლენინის წერილები, რომლებიც ბვსებენი და განმარტავენ ერთიანი ლენინური სამეურნეო გეგმის ძირითად პრინციპებს, რომელიც დამტკიცდა 1920 წელს გამართულმა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) IX ყრილობამ. ბევრი დოკუმენტი ეძღვნება რუსეთის ელექტრიფიკაციის პროგაგანდას.

ლენინი დაუსტრომლად იცავდა კომუნისტური მოძრაობის რიგების ერთობას. ტომში დაბეჭდილია წერილები და დეპეშები, რომლებიც მიმართულია „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, რამაც თავი იჩინა ზოგიერთ კომუნისტურ პარტიაში 1919 წელს. ამასთან დაკავშირებით ლენინს მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნდა წიგნის „მემარცხენეობის“ „საყმაწვილო სენის კომუნიზმში“ გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე თარგმნა. (საკვლევი).

სამგორის მიწამ

მეტი უნდა მოგვცეს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის მარტის პლენუმმა უდიდესი ამოცანები დასახა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის. პარტიის მიერ მიღებულ ღონისძიებათა განხორციელება წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

ამ დიდი ამოცანის შესრულება მოითხოვს ყოველი მეტრი მიწის ეფექტურად გამოყენებას, მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებას.

ჩვენი რესპუბლიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამგორის ველის უზრუნველყოფას სარწყავი წყლით.

სამგორის ველი რთული რელიეფური აგებულებისაა. მას თითქმის ყველგან ორმხრივი დაქანება აქვს და ამის გამო გართულებულია მორწყვა. რთულია რწყვისათვის ნიადაგის პირობებიც. გაჯიან ნაფენებზე განვითარებული შავმწა მუშუსის თხელფენიანი ნიადაგები უდიდესი სიფრთხილით მოითხოვს რწყვას. მაშასადამე, რწყვა ისე უნდა ხორციელდებოდეს, რომ არ გამოიწვიოს ნიადაგის სახარგებლო ზედა, ანუ სახნავი ფენის გადარეცხვა. პირქუთ, ხელი უნდა შევუწყოთ მუმუსის ფენის შენარჩუნებას, მის „დაჯდომას“, რისთვისაც საჭიროა ხშირი, დროებითი მცირეგამტარიანი სარწყავი არხების გამოყენება და მცირე ნორმებით რწყვა.

სამწუხაროდ, მთელ რიგ მეურნეობებში ამას ვერ ვხედავთ. ნაკვეთებში წყალი მიშვებულია დიდი რაოდენობით, რაც წყლის გადახარჯვასთან ერთად უდიდეს ზიანს გვაყენებს — ანადგურებს ნიადაგს, შლის და მიაქვს სახნავი ფენა, იწვევს დაჭაობებას, ჯერ კიდევ, როცა სიონის წყალსაცავის ექსპლოატაციის დაწყებამდე სარწყავი წყლის სიმცირესთან გვაქვს საქმე, უდიდესი ყურადღებით უნდა მოვეპყროთ სარწყავი წყლის ხარჯვას. მეურნეობებმა, განსაკუთრებით ერთწლიანი კულტურების რწყვისას, რაციონალურად უნდა გამოიყენონ წყალი, არ დაუშვან ნიადაგის სარწყავი ფენის განადგურება. ამისათვის საჭიროა ყოველწლიურად, რწყვის სეზონის დაწყებამდე, მრწყველთა მომზადება.

აუცილებელია მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება. სამგორის ველისათვის გამუდმებული, ყოველი მიმართულების ქარებია დამახასიათებელი. გაბატონებულია ჩრდილო-დასავლეთის ძლიერი ქარები, რომელთა სიჩქარე წამში ზოგჯერ 30-35 მეტრს აღწევს. ასეთი ქარების მოქმედება სპობს ნათესებს, იწვევს ჭარბ აორთქლებას, აძლიერებს ეროზიულ მოვლენებს. ასეთი ქარების დროს ყოველ მეტრზე იკარგება ათეული ტონობით ფხვიერი მიწა, მიწით ივსება სარწყავი არხები, რომელთა ამოწმენდაზეც დიდი თანხები იხარჯება.

აქედან გამომდინარეობს მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების აუცილებლობა. ამ მხრივ სამგორის ველზე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. უპასუხისმგებლობისა და ცუდი მოვლის შედეგად, ზოგიერთი მეურნეობის ტერიტორიაზე მთლიანად დაიღუპა მინდორსაცავი ზოლების ნარგაობა, ხოლო გეგმაზომიერად მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს.

აუცილებელია აგრეთვე ტყის მასივების გაშენება, რაც ხელს შეუწყობს მიკროკლიმატის შექმნას და ამავე დროს მეურნეობების შემოსავლის ერთ-ერთი წყარო გახდება. სამგორის ველზე არის ისეთი შემაღლებული ბორცვები და ადგილები, სადაც მხოლოდ ტყის მასივების გაშენებაა მიზანშეწონილი.

ცნობილია, თუ რა სერიოზულობით ეკიდებოდნენ ამას დიდი რუსი მეცნიერები, რომელთა ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი თვალუწვდენელი ველების ათვისებას სსრ კავშირში, რისთვისაც სპეციალური სატყეო მეურნეობები იყო ჩამოყალიბებული. თუ გავთვალისწინებთ სამგორის ველის ათვისების დიდ ეკონომიურ მნიშვნელობას, მის ხირთულეს და იმ გრანდიოზულ სამუშაოებს, რასაც მინდორსაცავი ტყის ზოლების და ტყის მასივების გაშენება მოითხოვს, შესაძლოა გადმოვიღოთ ეს პრაქტიკა და შეიქმნას მსხვილი სპეციალური სანერგე-სატყეო მეურნეობა, რომელსაც სამგორის ველზე ტყის ზოლებისა და მასივების გაშენება დაეკვალება.

ეროზიული მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია სამგორის ველის სწორად ათვისების პროცესში. რელიეფური და არახელსაყრელი გარემო პირობები ხელს უწყობს ეროზიული მოვლენების ინტენსიურად განვითარებას. ეროზიული პროცესების განვითარების გამო უკვე წარმოშობილია ხრამები ან სწრაფად ვითარდება დახრამვის პროცესი. ამის გამო ბევრი სახნავი მიწა ჩამოსაწერი ხდება.

ამასთან დაკავშირებით აუცილებელია თესლბრუნვის შემოღება. უნდა დაითესოს ისეთი ბალახები, რომლებიც ძლიერი ივითარებენ ფესვთა სისტემას. მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს მრავალწლიანი ბალახების თესვა, როგორც წესი, კატეგორიულად უნდა აიკრძალოს მნიშვნელოვანი ქანობის მქონე ნაკვეთების წყლის მიშვებით, მოღვარვით რწყვა.

გარდა ამისა, სამგორის ველის სწორად ათვისების პროცესში დიდ როლს ასრულებს ნაკვეთების მოშანდაკება (მოსწორება), მორწყვის ტექნიკისა და აგროტექნიკის სწორად გამოყენება და განხორციელება, ხელოვნური დაწვიმების დანერგვა.

საჭიროა თვითეულ მეურნეობას ჰქონდეს ფართობების მოშანდაკების გეგმა კალენდარული ვადების გათვალისწინებით და თანდათან ყოველწლიურად აწარმოებდეს ნაკვეთების მოშანდაკებას სამგორის ველზე. ამჟამად საწვიმებელი აგრეგატების უქონლობის გამო არსად არ ხორციელდება ხელოვნური დაწვიმება. საწვიმებელი აგრეგატის გამოყენებას და დანერგვას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს სამგორის ველის ათვისების საქმეში.

სამგორის ველზე, სადაც ზაფხული ცხელი და მშრალია, ძლიერი ქარების მოქმედებით მკვეთრად მატულობს აორთქლება ნიადაგიდან: ამასთანვე მთელი რიგი კულტურებისათვის დამღუპველ ზღვრამდე ეცემა ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა. ადგილი აქვს ეგრეთწოდებულ ჰაეროვან გვალვას. მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნასთან ერთად მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებას ხელოვნური დაწვიმება წარმოადგენს.

სამგორის ველზე ძლიერ ქარიან პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის დამუშავებას, სიღრმეს და წესს. აქ უპირატესობა უნდა მიეცეს მოსწორებულ მზრალს, უნდა დავგმოთ ზერელედ ხვნა, რომელიც ხელს უწყობს გამოქარვის პროცესების ინტენსიურ მსვლელობას, ვაკრგავთ ფართობის ერთეულზე ათეულ ტონობით ნაყოფიერ ნიადაგს. ფართოდ უნდა დანერგოს სახიდრაცია ნათესების შემოღება.

სამგორის ველის ათვისების ეკონომიური მნიშვნელობა გვიკარნახებს მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემებისა და ღონისძიებების დროულად დამუშავებას და დანერგვას. ამიტომ ფართოდ უნდა განხორციელდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, კარგი იქნება ამჟამად არსებული ნიადაგმცოდნეობის, მიწათმოქმედების, ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის ინსტიტუტების დასაყრდენი პუნქტების გაერთიანების ბაზაზე ჩამოვაყალიბოთ კომპლექსური საცდელი სადგური. მისი ძირითადი ამოცანა იქნება მკაცრი კონტროლი გაუწიოს სამგორის ველის სწორად ათვისების საქმეს.

ს. რუხაძე,

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სამგორის დასაყრდენი პუნქტის გამგე.

მკითხველი გვთხოვს, გვირჩევს, ამხილებს

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ყინვა, ნაჯახი და თეთრი სამოთხე“

ფელეტონი, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა, ეხებოდა ბაკურიანის მიდამოებში ტყეების დაცვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. ამის გამო ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ო. სოხაძე რედაქციას ატყობინებს:

გაცნობებთ, რომ ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილა გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ფელეტონი— „ყინვა, ნაჯახი და თეთრი სამოთხე“ და სწორად ცნო გაზეთის კრიტიკა.

რაიონული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი რაიონის მოსახლეობისა და საწარმო-დაწესებულებებისათვის სათბობის მიყიდვის ორგანიზაციისა და რაიონის ტყეების დაცვისა და განახლების საქმის რადიკალურად გაუმჯობესებისათვის.

სვრიქონები ამხილებენ

სამტრედიის რაისაბჭოს აღმასკომი რედაქციას ატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში სათაურით „სტრიქონები ამხილებენ“ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და რაისაბჭოს აღმასკომმა საქმითვალერგოს წინაშე დააყენეს საკითხი სოფელ დაფნარის ელექტროფიკაციის სამუშაოების 1965 წლის გეგმაში გათვალისწინების შესახებ.

წერილი არ დაგეჭდილა, მაგრამ...

სოფლკორი რედაქციაში ხობიდან გამოგზავნილ წერილში „თავაკაცობრს ფიქრობს“ გვატყობინებდა სოფელ ქარიატის კეთილმოწყობლობის შესახებ. წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად ხობის რაისაბჭოს აღმასკომს გადაეგზავნა, რომლის თავმჯდომარე ვ. ბერაია რედაქციას ატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. სოფლის ელექტროფიცირება დამთავრდება 1965 წელს. სოფელი რადიოფიცირებულია, მაგრამ რადიო არ მუშაობდა ტექნიკური მიზეზების გამო. კოლმეურნეობის გამგეობამ, სასოფლო და რაისაბჭოს აღმასკომებმა მიიღეს ზომები რადიოხაზის წესრიგში მოსაყვანად. ხიდი ხობის წყალზე შეკეთდა და მოყვანილია წესრიგში.

სიმღვანე

ქალაქის მშვენებაა

თბილისი შენდება, იზრდება და მშვენდება, კეთილმოწყობილ ქალაქთა წყებაში უკვე საპატიო ადგილი აქვს მოპოვებული. ეს ყველა თბილისელ მშრომელს ახარებს, მაგრამ ამ ზრდას, საქალაქო მეურნეობის ამ წინსვლას ერთი სამწუხარო ნაკლი ახასიათებს: ადგილობრივი, თბილისური, ქართული კოლორიტის დაკარგვა.

არქიტექტორებმა იციან, რომ ყოველი დასახლებული ადგილის თავისებურება წარმოიქმნება რელიეფით, ნაგებობებით, ქუჩების, მოედნებისა და ხიდების განლაგებით და კიდევ მწვანე ნარგავთა მასივებით. თუ ყველა ეს ფაქტორი ერთმეორისადმი შეწყობილად, ჰარმონიულად არის გამოყენებული, მივიღებთ ამ დასახლებული ადგილის მთლიან ანსამბლს. დასახლებული უბნის ცვლილებად, დინამიკურ ელემენტს სწორედ ეს მწვანე სამოსელი — ბაღები, ხეივნები, გაზონები წარმოადგენენ. დანარჩენი ფაქტორები (რელიეფი, ნაგებობები, ქუჩათა განლაგება) ნაკლებ ცვლადნი არიან.

თბილისს საქალაქო საბჭოს დეპუტატთა ერთ ჯგუფში, რომელიც ქალაქის გამშვენების საქმის სწავლობდა, აღძრა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ წარემართოთ მომავალში ჩვენი მუშაობა, რა უნდა გაკეთდეს ქალაქის გასამშვენებლად და როგორ უნდა გაკეთდეს, რა საშუალებით უნდა მოვახერხოთ გამშვენების საქმეში მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა და როგორ შეეფარჩენონ ჩვენს დედაქალაქს მისთვის დამახასიათებელი ეროვნული კოლორიტი.

გამშვენებამ ხელი უნდა შეუწყოს ადგილმდებარეობის თავისებურებასთან შეფარდებით ქალაქის ჯანაშენიანების მთლიანობას, საერთო ანსამბლის შექმნას, მაგრამ გამშვენების განხორციელება დენდროლოგიური პროექტის გამოყენებლად არ უნდა ხდებოდეს. თუ გამშვენების სამუშაოებს ისევე წარემართავთ, როგორც დღემდე, ე. ი. თავს ავარიდებთ დიდი შრომატევადობის სამუშაოს, მიზნად დავისახავთ მცირე დანახარჯებით ეიდი მწვანე მასივების შექმნას, მაშინ გამშვენებაც ერთიერთი იქნება, ადგილმდებარეობის სპეციფიკა, მასშასადამე, ადგილობრივი კოლორიტიც დაიკარგება.

საცხოვრებელი მასივების გამშვენებისას საჭიროა შემოქმედებითი გონებამახვილობის გამოჩენა, მცენარეთა ისეთი ჯიშების შერჩევა და მათი ინრიგად განლაგება, რომ ქუჩები ერთფეროვანი არ იქნენ, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ.

ვაყენებთ საკითხს: რატომ არ შეიძლება ქალაქის გამშვენებისათვის გამოვიყენოთ ქართული ფლორის მთელი მრავალფეროვანი სამდიდრე, რატომ უნდა შემოვიფარგლოთ მარტოოდენ აკაციის და ჭადრის ჯიშების მცენარეთა გაშენებით. რატომ არ ჩანს თბილისის ქუჩებში, მწვანე მასივებში ვერხვი, ცაცხვი, წიფელი, მუხა, თელა, ურთხელი. ნუთუ არ შეიძლება მათი ნერგების გამოყვანა?

ეფიქრობთ, არ იქნება ურიგო, თუ წესად შემოვიღებთ ქალაქის ქუჩებში მცენარეთა სამახსოვრო მასპორტიზაციას, ე. ი. ნარგავისთვის ეტატონზე სპეციალური წარწერის გაკეთებას, თუ ვინ დარგო, როდის, რა ჯიშის მცენარეა და ა. შ. უნდა წავახალისოთ ყველა მშრომელი თავისი ვინაობის უკვდავსაყოფად თბილისში ერთი მცენარე მაინც დატოვოს და ამაში მათ დახმარება უნდა გაუწიოთ სათანადო ნერგის შოვნით და კონსულტაციით, ხოლო ქუჩებში გაშენებული ნერგების მოვლა-პატრონობა უნდა დავავალოთ აგდილობრივ პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს.

საჭიროდ მიმაჩნია თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს ფლორის ეშვიათი ჯიშების მცენარეთა სანერგეების მოწყობის შესახებ, რათა ყველა მშრომელს ამ სანერგეებიდან ნერგების უსასყიდლოდ მიღების საშუალება ექნეს.

რ. ნინიძე,

რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი.

უგუნურია ტყვეობაში

სამწუხაროდ, ეს კიდევ ხდება

ორი ათეული წლის წინათ მოვიდა სოფელ ანუხვაში (გუდაუთის რაიონი) სტეფანე რომანის-ძე მანდრახლე ბოვი. მას მოეწონა წაბლნარით დაბურული მაღალი მთის კალთები, სოფლის განაპირას ერთ ჰექტარზე მეტი ფართობი შემოღობა და შიგ ხის პატარა სახლი ჩადგა. პირველ ხანებში იგი მჭედლობდა და სადურგლო საქმესაც არ თაკილობდა, ზოგჯერ კოლმეურნეობის გამგეობის დავალებასაც ასრულებდა. მაგრამ ამ ბოლო დროს ვიღაცის ცდუნებას აჰყვა, წვერი მოუშვა, გრძელი ხალათ-კაბა ჩაიცვა, ძველი ხატები ოუ სახარებები შეაგროვა, ღვთის „მსახური“ გახდა და თავის მეუღლე ანასტასია ვასილის ასულთან ერთად სავსებით გასწყვეტა კავშირი კოლმეურნეობასთან. ისინი ახლა არავისთან არ დადიან და არც არავის უშვებენ თავიანთ კარმიდამაში.

სტეფანე რომანის-ძე შვილი შვილის მამაა. უფროსი გოგონა რაისა თხუთმეტი წლისაა. მისი მომდევნონი არიან ალექსანდრე, პავლე, ტარიანა, მიხეილი, ნადეჟდა და ანა. მერე შვილი გასულ წელს გარდაეცვალათ გადამდები სენით, ასეთივე ბედი ეწეოდათ დანარჩენებსაც დიდი დავიდარაბის შემდეგ განათლების განყოფილების მუშაკებს რომ არ წაეყვანათ დაავადებული ბავშვები რაიონულ საავადმყოფოში. სავსებით განკურნებული ბავშვები ის იყო საბავშვო სახლში უნდა გაეგზავნათ, რომ ჯიუტმა მშობლებმა ღამით საავადმყოფოს ფანჯრიდან ბავშვები ჩუმად გადაიყვანეს და ანუხვის გზას გაუყენეს. ახლა ისინი კვლავ უგუნურ მშობლთა ტყვეობაში არიან ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

მართალია, მამას — სტეფანე რომანის-ძეს უყვარს შვილები, როგორც კრუხს თავისი წიწილები, მაგრამ მათ მომავალზე როდი ზრუნავს. შვიდი ბავშვიდან ხუთი — სასკოლო ასაკისაა, მაგრამ არც ერთი არ დადის სკოლაში. მშობლები მათ ეზოს გარეთაც იშვიათად უშვებენ. მათთან იყვნენ პროკურატურისა და სახალხო განათლების განყოფილების მუშაკები, მაგრამ ჯიუტ მამასთან ვერ გამონახეს საერთო ენა, ვერ დააჯერეს, რომ ბავშვებს უნდა ასწავლოს. სტეფანე რომანის-ძე ბოლოს დაითანხმეს, რომ „სანამ მონასტერი გაიხსნებოდა“ (ეს სტეფანეს სიტყვებია), ოჯახში ვევლო მასწავლებელს. ასეც მოხდა — გამოიცალა პედაგოგი ალექსანდრე ავიძბა ოთხი თვე დადიოდა და მანდრახლებოვების ოჯახში. მიუხედავად მძიმე პირობებისა, მან შეძლო აბბანი ესწავლებინა მოზარდებისათვის, მაგრამ შემდეგ რატომღაც მშობლები აუხირდნენ მასწავლებელს და სახლიდან დაითხოვეს იმ მიზეზით, რომ ყველასგვეანი პიონერების სურათი მოუტანა ბავშვებსო.

მიმდინარე წლის 17 თებერვალს კვლავ ვესტუმრეთ მანდრახლებოვების ოჯახს. ბევრი თხოვნა-მუდარა დაგვჭირდა, რომ სახლის კარი გაეღოთ, ბნელ ნესტიან, უიატაკო პატარა ოთახში ექვსი ნახევრად ტიტველი ბავშვის თვალმა შემოგვანათა. ზოგს უკვე ავადმყოფური ფერი დაკრავს, ზოგს „შიშველ ფეხებზე ჩერები ჰქონდა შემოხვეული, მშობლებმა კი წინასწარ გაგვაფრთხილეს — თუ ბავშვების სკოლაში წაყვანის თაობაზე ხარ მოსული, არაფერი გამოვა, ამათ დავხოცავთ და არც თქვენ დაგადგებათ კარგი დღეო. ჩვენ ეკითხეთ, მეშვიდე ბავშვი სად არისო. დედამ — ანასტასია ვასილის ასულმა გვითხრა: ერთი გასულ წელს ვარდამეცვალა, ღმერთის გაჩენილი იყო და მანვე წაიყვანა, მაგრამ სამგა-ერო მომცა და ორი თვის შემდეგ ბავშვი მეყოლებაო (იგი ფეხმძიმეა არის), ხოლო პავლეს—მასწავლებელს მივაბარეთო.

ჩვენ დავინტერესდით, ვინ იყო პავლეშას მასწავლებელი. გვეხი ავიღეთ მთის ფერდობისაკენ. ვიწრო ბილიკით სამი კილომეტრი გავიარეთ და პატარა ქოხს მივადექით. ქოხში დაგეხვდა პატარა პავლე, რომელსაც გრძელი ხალათ-კაბა ჩაეცვა, ფეხთ გაეხადა და მუხლი მოეყარა კუთხეში ჩამოკიდებული ხატის წინაშე. ის „მასწავლებელ“ ალექსანდრე ვასილის-ძე ასონოვის მითითებით რაღაცას ბუტბუტებდა. ასონოვი 37 წლის მამაკაცია. მას წინათ სხვა პროფესია ჰქონია, მაგრამ თავი დაუნებებია ყველაფრისათვის და „ღვთისმეტყველება“ აურჩეია. სულ ორი თვეა, რაც აქ დასახლებულა; ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთი შემოუღობავს, პატარა სახლი აუგია და „საშინაო“ სკოლაც გაუხსნია, როგორც გამოიკვლა, ასონოვთან მახეალ და ალექსანდრე მანდრახლებოვებიც დადიან, მაგრამ პავლე მუდმივად ჰყავს სახლში — ავი ზნით ვარ შეპყრობილი და მარტო ყოფნა არ შემიძლიაო, განაცხადა ასონოვმა.

სამწუხაროდ, მარტო მანდრახლებოვის ბავშვები როდი არიან სკოლის გარეთ დარჩენილი. სკოლაში არ დადიან აგრეთვე: ანასტასია ჩალარიდი (7 წლის), როზა ჩალარიდი (11 წლის), თამარ მკრტიჩიანი (7 წლის), ლესია მკრტიჩიანი (15 წლის); ვაზგენ მკრტიჩიანი, მართალია, დადის ახალი ათონის საშუალო სკოლის მეორე კლასში, მაგრამ სიშორისა და უგზოობის გამო ხშირად აცდენს გაკვეთილებს.

ათონის მთის დასახლებაზე სასკოლო ასაკის ათი ბავშვია, რომლებსაც სურვილი აქვთ ისწავლონ, მაგრამ იმის გამო, რომ იქ სკოლა არ არის, სახლებში სხედან.

1956 წლამდე აქ იყო სკოლა, მაგრამ რატომღაც დაიხურა. ახლა აქ არის ექვსოთახიანი კაპიტალური შენობა, არის მასწავლებელი, საჭირო ინვენტარი. არსებობს გუდაუთის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თხოვნა იმის შესახებ, რომ სოფელს ნება დართონ გახსნას სკოლა, მაგრამ სკოლას რატომღაც არ ხსნიან, და ისევ ვიგინდარებს, როგორიც ასონოვია, საშეალება ეძლევათ დასახლდნენ და საკოლმეურნეო ფართობზე ისარგებლონ მაღლიანი მიწის ბარაქით, სეფთა მთის ჰაერით და გონება მოუწამლონ უგუნურ იდამიანებს და მცირეწლოვან ბავშვებს.

საჭიროა დაწყებითი სკოლის I და II კლასები, ერთი კომპლექტი მანც, დაუყოვნებლივ გაიხსნას დასახლება ათონის მთაზე. ამით ზღვარი დაიდება სტეფანე მანდრახლოვის ჯიუტობას და ასონოვის თავხედობას.

ვ. ხავთასი,

გუდაუთის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი, აფხაზეთის სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

რედაქციისაგან: წერილში აღმაშფოთებელი ფაქტებია მოყვანილი. ამ ფაქტების მიმართ შეუძლებელია გულგრილი ვიყოთ. რას იტყვიან ამის შესახებ აგდილობრივი პარტიული, საბჭოთა და განათლების ორგანოები?

დავაჩქაროთ ასამუშავებელი ობიექტის მშენებლობა

ქართული მარგანეცის ქალაქში ახლა ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანია ცენტრალური ფლოტაციური ფაბრიკის მშენებლობა. მისი პირველი რიგის აგება შვიდწლედის ბოლოს უნდა დამთავრდეს. წელს მწყობრში უნდა ჩადგეს ერთ-ერთი უდიდესი საწარმო.

განუზომელია ამ ფაბრიკის მნიშვნელობა. იგი მინიმუმამდე შეამცირებს მარგანეცის მაღნის დანაკარგებს, რაც ახლა მდინარე ყვირილას მიაქეს და სამუდამოდ იკარგება. ახალი წლიდან ჩვენმა ქვეყანამ ამ ფაბრიკიდან ყოველწლიურად უნდა მიიღოს ასეულ ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი, შავმა მდინარე ყვირილამ კი სუფთად იდინოს.

ფლოტაციურ ფაბრიკას აშენებს ჭიათურის მარგანმშენის ტრესტის სამრეწველო ნაგებობათა მშენებლობის სამმართველო, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერები ბ. ბარამძე და გ. კაპანაძე უძღვებიან.

ფლოტაციური ფაბრიკის კომპლექსი 30 ობიექტს მოიცავს. მშენებლობის მოცულობაზე რომ წარმოდგენა გვქონდეს, დავასახელებთ რამდენიმე ციფრს: მშენებლობაზე იხარჯება რამდენიმე მილიონი მანეთი. აქ უნდა შესრულდეს 145 ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაო, უნდა დაიწყოს 17.900 კუბმეტრი ყორე-ბეტონი, 2.750 კუბმეტრი ასაწყობი რკინაბეტონი, ჩაიწყობა დიდი დიამეტრის მილები 17.160 მეტრზე და სხვ. აღსანიშნავია, რომ აქ ბევრი ობიექტი და დანადგარი უნიკალური იქნება.

მშენებლობაზე მიმავალის ყურადღებას იპყრობს მთავარი კორპუსი, უზარმაზარი სალექარი აუზები, დიდი შლამგამტარი გვირაბი, კაშხალი და სხვ.

შარშან მშენებლებს ბევრი რამ აფერხებდა. ხან სამშენებლო მასალებსა და პროექტებს ვერ იღებდნენ დროზე, ხან ავტომანქანები და მუშახელი აკლდათ. თვით მშენებლებიც სცოდავდნენ. არსებულ მუშახელსა და ტექნიკას ზოგჯერ გონივრულად ვერ იყენებდნენ, არ ინერგებოდა მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები.

შვიდწლედის მშენებლობებზე

ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ სერიოზული ღონისძიებები გატარდა. სამშენებელო უბნების უფროსებად გაბედულად დაწინაურეს ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი და ენერგიული სპეციალისტები, შედგა სამშენებელო სამეურნეოთა გრაფიკი, შეიქმნა კომპლექსური ბრიგადები და ისინი გადაიყვანეს აკორდულ-პრემიალურ სისტემაზე. მთავარი მაინც მუშახელით მშენებლობის უზრუნველყოფა იყო. კეთილშობილური თაოსნობა გამოიჩინეს მაღაროელმა კომეონტებმა. მათ სურვილი გამოთქვეს და სამეშოდ წაიყვანეს ფლოტაციური ფაბრიკის მშენებლობაზე. კომუნისტებს მხარი დაუჭირეს უპარტიო მაღაროელებმა. მათ ახალი სიო და მაღაური შემართება მიეტანეს მშენებლობაზე, შექმნეს კომპლექსური ბრიგადები, რომლებიც არ უშინდებოდნენ სიძნელეებს, სძლევდნენ მათ. განსაკუთრებით ისახელეს თავი მაღაროელ კომუნისტთა ივ. ბუხრაშვილისა და ა. ცუცქირიძის ბრიგადებმა.

ახლა ფაბრიკის მშენებლობაზე დიდი შრომითი პათოსია. თავდადებულად შრომობენ ზ. ნადირაძის, ა. კიკნაველიძის, ი. ჭაგჭიანიძის, ე. ტყემალაძის და ა. წერეთლის ბრიგადები. ისინი ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ, აშენებენ მაღალხარისხოვნად.

ბოლო ხანებში მუშაობა გააუმჯობესეს მემონტაჟეებმაც. ეს პირველ რიგში ითქმის „მეტალურგპროკატმონტაჟის“ და „გრუზმატმონტაჟის“ სამმართველოების ჭიათურის უბნებზე.

მაგრამ ასე როდი იქცევა „სტალკონსტრუქციის“ სამმართველოს ჭიათურის უბანი, რომელსაც აკლია მუშახელი და ვერ იცავს გრაფიკს, აფერხებს მშენებლობას.

ამჟამად მშენებლობა ძირითადად დამაკმაყოფილებლად მარაგდება სამშენებლო მასალებითა და მოწყობილობით. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა ციფრებში. იანვარ-თებერვლის დავალება 136 პროცენტით შესრულდა, ხოლო მარტის მიზნებებლები კიდევ უკეთესი.

მაგრამ შეფერხებები მაინც არის. სამშენებლო კომბინატი დროულად ვერ ასრულებს დაკვეთებს, ზოგჯერ აკლიათ სამშენებლო მასალები, მარტში საკმაო რაოდენობით ვერ მიიღეს დახრეხილი მასალა, მრგვალი ხეები და სხვ.

ეიათურელ მშენებელთა სახელისა და ღირსების საქმეა ყოველნაირად დაჩქარონ ცენტრალური ფლოტაციური ფაბრიკის მშენებლობა და იგი უმეტესად მიმდინარე წლის ბოლოს დამთავრონ.

ჯ. ჭიოკაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

სიმღერა

ეროვნული ტანსაცმელი

ბოლო ხანებში ეროვნული ტანსაცმელი ბევრ ადგილას ბევრ ადამიანს ეცვა. ეს ეროვნული ტანსაცმელი

საერთაშორისო ცხოვრება

სრული ნორმალიზება

სოფია, 1 აპრილი. (ხაკდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ბაშევმა მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის რწმუნებული ბულგარეთში ნგუენ ან კამი და გადასცა მასული ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის 22 მარტის წერილზე, რომელიც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამას იუწყება ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო.

ბულგარეთის მთავრობა და მთელი ბულგარელი ხალხი, აღნიშნულია ი. ბაშევის სამასუხო წერილში, [illegible] საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური და მუშათა პარტიების [illegible] ნსულტაციო შეხვედრის მონაწილეთა განცხადებებს ვიეტნამის [illegible] ბების შესახებ. ბულგარეთის მთავრობა და ხალხი მეტად ენერგიულად და დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვა, გაიყვანონ ჯარები და გაიტანონ სამხედრო ტექნიკა, ზუსტად დაიცვან ენევის 1954 წლის შეთანხმებანი და შესაძლებლობა მისცენ სამხრეთ ვიეტნამის ხალხს თვითონ გადაჭრას თავის ბედი. ბულგარეთის მთავრობა, ხაზგასმულია წერილში, ადასტურებს თავის შიმდინარე წლის 10 თებერვლის განცხადებას, და მზად არის შესარულოს ინტერნაციონალური მოვალეობა მოძმე გმირი ვიეტნამელი ხალხის მიმართ, რომელიც სამართლიან ბრძოლას ეწევა იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ.

ჯოუ ენ-ლაი კაროში ჩავიდა

კაირო, 1 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ ალჟირიდან ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოს საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი.

სამშვიდობო ინიციატივა

ნიუ-იორკი, 1 აპრილი (საკდესი). სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკო გუშინ შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს. პრეს-კონფერენციაზე, რომელიც შეხვედრის შემდეგ გაიმართა, ნ. ტ. ფედორენკომ განაცხადა, რომ უ ტანს გადასცა საბჭოთა მთავრობის წინადადება აპრილის პირველ ნახევარში მოიწვეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფო

სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გადასცა უ ტანს წერილი, რომელშიც ნათქვამია: განიარაღების საკითხთა სანგრძლივ განხილვას 18 სახელმწიფო. განიარაღების კომიტეტში არ მოჰყოლია, როგორც ეს აღნიშნულია კომიტეტის მოხსენებაში, რომელიც მან გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივნის კომისიასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-19 სესიას, რაიმე კონკრეტული შეთანხმებები არც საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხებზე, არც საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ღონისძიებებზე. 18 სახელმწიფოს კომიტეტმა, რომელმაც მუშაობა შეწყვიტა 1964 წლის სექტემბერში, გადაწყვიტა ხელახალა დაიწყოს სხდომები „რაც შეიძლება მალე მას შემდეგ, როგორც კი გენერალური ასამბლეის მე-19 სესია განიხილავს განიარაღების საკითხს, იმ დღეს, რომელსაც დაადგენს ორივე თანათამჯდომარე კომიტეტის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ". მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო გენერალური ასამბლეის მე-19 სესიაზე შეუძლებელი გახდა განხილულიყო 18 სახელმწიფოს კომიტეტის მოხსენება და მთლიანად განიარაღების შესახებ მოლაპარაკების მდგომარეობა. ამ დროს კი საერთაშორისო ამბების მსვლელობა მოითხოვს ქვეყნიერ ღონისძიებათა განხორციელებას განიარაღების დარგში და გამალებული შეიარაღების შეზღუდვას.

განიარაღების პრობლემა, — ნათქვამია შემდეგ წერილში — შეეხება ყველა სახელმწიფოს საარსებო ინტერესებს. ხალხები მტკიცედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან, რომ მან ყოველმხრივ განიხილოს, თუ რა მდგომარეობაშია 18 სახელმწიფოს კომიტეტში მოლაპარაკება განიარაღების შესახებ, რაც შეშფოთებას იწვევს. და დაებმაროს კომიტეტს დასახოს კონკრეტული გზები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან მიღწეულ იქნეს პროგრესი ამ მოლაპარაკებაში. ვინაიდან ასეთი განხილვა არ მოხდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია მოწვეულ იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისია, რომელშიც შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფო.

საბჭოთა მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მუშაობა დაიწყოს უახლოეს დროში — მიმდინარე წლის აპრილის პირველ ნახევარში.

მხეცობის აქჯი

სულ უფრო იზრდება საპროტესტო მოძრაობა ბარბაროსულ დანაშაულთა წინააღმდეგ, რომლებსაც ამერიკელი იმპერიალისტები სჩადიან სამხრეთ ვიეტნამსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მსოფლიოს ხალხები მოითხოვენ ბოლო მოეღოს ავაზაკობას ინდოჩინეთში.

ეს სურათი გამოქვეყნებული იყო გაზეთ „ლუმანიტეში". მასზე წარწერაა „ეს კოშმარის ნიღბები ამერიკელი „განმათავისუფლებელნი" არიან.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. ჰანოიში გამოქვეყნდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის კოოპერატივთა ცენტრალური საბჭოს განცხადება, რომელშიც გადაჭრით არის დაგმობილი ამერიკის შეერთებული შტატების ბარბაროსული მოქმედება სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის წინააღმდეგ და ამერიკის ავიაციის ავაზაკური თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის 5.5 მილიონი კოოპერატორის სახელით საბჭო მოითხოვს გაიყვანონ სამხრეთ ვიეტნამიდან მთელი ჯარები და დაუყოვნებლივ შეწყვიტონ შეიარაღებული პროვოკაციები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

გზრ. იურისტ-დემოკრატთა საერთაშორისო ასოციაციის სამდივნომ თავის მიმართვაში ყველა ხალხისადმი აღნიშნა, რომ შეერთებულმა შტატებმა დაარღვიეს არა მარტო საერთაშორისო სამართლის ყველა პრინციპი, არამედ ვალდებულებანი, რომლებიც იკისრეს ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებით.

იურისტ-დემოკრატთა საერთაშორისო ასოციაცია აცხადებს, რომ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი ახლა სამხრეთ ვიეტნამის

ჰანოი, 31 მარტი. (საკდესი). დღეს ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის ასზე მეტმა თვითმფრინავმა მოახდინა მასიერებული თავდასხმა ერთბაშად ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამ პროვინციაზე.

პირველად დაბომბეს და ცეცხლი დაუშინეს ხა-ტინის პროვინციას. სამაერო მეკობრეებმა იერიში მიიტანეს პროვინციის ცენტრსა და მის გარეუბნებზე, აგრეთვე ხოონგ-ჭხეს მაზრაზე. შემდეგ თავს დაესხნენ დონგ-ჰოის, ბოჩატისა და კუანგ-ჩატის მაზრებს კუანგ-ბინის პროვინციაში და ნგე-ლოკისა და იენ-თხანის მაზრებში ნგე-ანის პროვინციაში, რომლებიც მე-19 პარალელის გაყოლებით მდებარეობენ.

ამერიკელმა სვავებმა დაბომბეს და ცეცხლი დაუშინეს მჭიდროდ დასახლებულ რაიონებს მდინარეების, გზატკეცილებისა და რკინიგზის გასწვრივ. როგორც სამხედრო სარდლობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ვიეტნამის სახალხო არმიის საჰაერო თავდაცვის ნაწილებმა დღეს ჩამოაგდეს მტრის 14 თვითმფრინავი.

როცა ეს სტრიქონები იწერებოდა, პროვინციებიდან მოვიდა ახალი ცნობები: საღამოს ამერიკის ავიაციამ თავს დაატეხა ახალი დარტყმა, მეორე დღეგანდელი დღის მანძილზე, კუანგ-ბინის პროვინციის ცენტრს ქალაქ დონგ-ჰოის, რომელსაც პერიოდულად ესხმიან თავს ამერიკის თვითმფრინავები.

ამერიკის მხედრიონი, რომელმაც იწვნია ვიეტნამელ მებრძოლთა საზენიტო ცეცხლის ძალა და სიზუსტე, ახლა ღამით ესხმის თავს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას.

მილიარდები შეიარაღებისათვის

ვაშინგტონი, 1 აპრილი. (საკდესი). გუშინ სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიამ ერთხმად მოიწონა ასიგნებანი 15.284 მილიონი დოლარის ოდენობით, რომლებიც უნდა მობმარდეს თვითმფრინავებისა და სამხედრო ხომალდების რაკეტების შექმნასა და სხვადასხვა სამხედრო კვლევით სამუშაოს 1965-1966 საფინანსო წელს.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ სთხოვა კონგრესს 1965-1966 საფინანსო წელს გამოჰყოს სახსრები 4 ატომური წყალქვეშა ნავის მშენებლობისათვის. მაგრამ სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიამ მოიწონა ასიგნებანი იქვე წყალქვეშა ნავის მშენებლობისათვის.

ელჩი გენერალი ანგარიშს აბარებს

ვაშინგტონი, 1 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ვ. პეტრუსენკო იტყობინება:

პრეზიდენტმა ჯონსონმა გუშინ საღამოს მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სამხრეთ ვიეტნამში გენერალი ტეილორი, რომელიც ვაშინგტონში იმყოფება. თებერვლის შემდეგ ჯონსონმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ელჩთან ჰქონდა „მეტად სასარგებლო საუბარი".

ამის შემდეგ ელჩმა ტეილორმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებზე. ტეილორმა თქვა, რომ პრეზიდენტთან განხილია ვიეტნამის მდგომარეობა „ცოტად თუ ბევრად ყველა ასპექტში". მან თქვა, რომ სახელმწიფო მდივანთან რასკთან და თავდაცვის მინისტრთან მაკნამარასთან მოპაოალი შეხვედრების შემდეგ წარუდგენს პრეზიდენტს „უფრო გარკვეულ წინადადებებს".

ტეილორმა უარყო პრესის ცნობა იმის შესახებ. თითქოს მან პრეზიდენტს გადასცა განცხადება სამხრეთ ვიეტნამში ელჩის პოსტიდან გადადგომის შესახებ.

მან განაცხადა, რომ კვლავაც პერიოდულად ჩამოვა ვაშინგტონში საკონსულტაციოდ.

ტეილორმა პასუხი არ გასცა შეკითხვებზე იმის შესახებ, განიხილა თუ არა პრეზიდენტთან და თანამრომლებთან ერთად ერთ-ერთი ალტერნატივა, ანუ ამტკიცებდა, რომ არ განუხილავს ვიეტნამის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესაძლო „ვარიანტები".

ტეილორმა განაცხადა, რომ მკითხაობა არ სურს იმის გამო, თუ როგორ შეიძლება მომავალში განვითარდეს სამხრეთ ვიეტნამში მოქმედება. მაგრამ მან თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ განახორციელებენ სამხრეთ ვიეტნამში თავიანთ პროგრამას და პოლიტიკას იმ სახით, რომლითაც ისინი ახლა ხორციელდება და როგორც ისინი პრეზიდენტმა განსაზღვრა. ერთ-ერთი კორესპონდენტის შეკითხვაზე, მართალია თუ არა რომ ელჩი მხარს უჭერს უფრო სასტიკ მოქმედებას ვიეტნამის ომში, ტეილორმა უპასუხა, რომ იგი მხარს უჭერს „იმ კურსს, რომელსაც პრეზიდენტი იწონებს".

ტეილორი აბეკიცებდა, თითქოს ამერიკის ავიაციის თავდასხმებმა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე მორალურად განამტკიცა სამხრეთ ვიეტნამის არმია. მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ მოქმედებას ვიეტნამში ახასიათებს „გადასვლა თავდაცვიდან შეტევაზე".

იაპონიის გიუჯეტი

ტოკიო, 1 აპრილი. (საკდესი). იაპონიის პარლამენტმა მმართველი პარტიის დეპუტატთა ხმებით დაამტკიცა 1965 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მთავრობამ შეიტანა. ბიუჯეტი დამტკიცებულია 3.658.080 მილიონი იენის ოდენობით—402.642 მილიონით მეტი, ვიდრე 1964 საფინანსო წელს იყო.

ახალი ბიუჯეტი ითვალისწინებს გადასახადების რამდენადმე შემცირებას, გარკვეულ გაუჯობესებას მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემაში. ამასთანავე ბიუჯეტით გათვალისწინებულია ფინანსური ღონისძიებანი მსხვილი კაპიტალის ინტერესების დასაცავად, თავდაცვის ხარჯების გადიდება თითქმის 30 მილიარდი იენით.

მთავრობის პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს ოპოზიციურმა პარტიებმა.

ინგლისის მძიმე ნელი

ლონდონი, 1 აპრილი. (საკდესი). რამდენიმე დღე დარჩა პარლამენტში ახალი ბიუჯეტის, 1965-66 საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტის შეტანამდე.

როგორც მოწმობს მთავრობის მიერ გამოქვეყნებული თეთრი წიგნი ეროვნული შემოსავლისა და საგარეო საგადამხდელო ბალანსის წინასწარ შეფასებათა შესახებ, გასულ წელს კვლავ იზრდებოდა ცხოვრების ღირებულება. სამაგიეროდ წინანდებურად იფეხრჩენებოდა გასულ წელს კერძო კაპიტალი. კომპანიათა მოგება და დივიდენდები 1964 წელს გაიზარდა შესაბამისად 13 და 14 პროცენტით. სულ კერძო ფირმების მოგებამ შარშან მიაღწია ახალ რეკორდულ დონეს — 4 მილიარდ 564 მილიონ გირვანქა სტერლინგს.

თეთრმა წიგნმა ბოლო მოუღო მითქმა-მოთქმას საგარეო საგადამხდელო ბალანსის გამო. შედეგები უნუგეშოა. ინგლისმა გასული წელი დაამთავრა 745 მილიონი გირვანქა სტერლინგის დეფიციტით. ყველაზე მძიმე დარტყმა საგარეო საგადამხდელო ბალანსს მიაყენა სესხებმა, რაც მთავრობამ სთხოვა უცხოეთს გასული წლის დამლევს ამ მიზნით, რომ განემტკიცებინა გირვანქა სტერლინგის შერყეული პოზიციები საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე.

გაუართოდა მინისტრთა კაბინეტი

ხართუმი, 1 აპრილი. (საკდესი). სუდანის კომუნისტურმა პარტიამ და სახალხო-დემოკრატიულმა პარტიამ გადაწყვიტეს მონაწილეობა მიიღონ ახლადდელ მთავრობაში და თანაბარი მინისტრები დანიშნეს პოსტებზე, რომლებიც დღემდე ვაკანტურია მინისტრთა საბჭოში, განაცხადა სუდანის ინფორმაციის მინისტრმა ისმაილმა.

თავის ჭკუაზეა?!

ნიუ-იორკი, 1 აპრილი. (საკდესი). „თავდაცვის მინისტრი მაკნამარა ალბათ თავის ჭკუაზე არ იყო, როცა ამართლებდა გასულ კვირას ვიეტნამში მომწყვეტელი ნივთიერებების გამოყენებას იმით, რომ ასეთი მომწყვეტელი ნივთიერებები შეეთვებულ შტატებში ზანგების წინააღმდეგ გამოიყენებაო" — ნათქვამია ჟურნალ „ნიუ-რიპაბლიკის" სარედაქციო სტატიაში.

მაკნამარას შენიშვნები, აღნიშნავს ჟურნალი, აზიაში განამტკიცებს იმის გრძნობას, რომ შეერთებულ შტატებს ხელძღვანელობს თეთრკანიანთა მმართველი კლასი, რომელიც „ზანგებსა და აზიელებს ერთნაირი ზიზღით უყურებს და ისინი დაბალ რასად მიაჩნია".

გარდა ამისა, განაგრძობს „ნიუ რიპაბლიკა", მაკნამარამ და მისმა თანამშრომლებმა აღნიშნეს: მომწყვეტელ ნივთიერებებს ვიყენებდით „პოლიციური აქციების" დროსაც, მაგალითად, პანამაში მოელვარების ჩასახშობადო.

„ეს უაღრესად სუტაფი თავის მართლება აჩვენებს მათ, — აცხადებს ჟურნალი, — რადგან არავის არ მიაჩნია ვიეტნამის ომი „პოლიციური აქციად", განსაკუთრებით ახლა, როდესაც შეერთებული შტატები ბომბებსა და ნაპალმს უშენენ ჩრდილოეთ ვიეტნამს".

გარდამავალი დროშა—გმირებს

კანო, 1 აპრილი. (საკდესი). პრეზიდენტმა ხო ში მინმა დაიწყო გარდამავალი დროშა „გამბედაობისათვის ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში" და გადასცა იგი № 4 სამხედრო ზონისა და ტა ნგანის ზონის არმიისა და მოსახლეობას. ვიეტნამის მშრომელთა პარტიის მთელი საერო-საარმიო კომიტეტმა და ვიეტნამის სახალხო არმიის მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ მიიღეს გადაწყვეტილება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში მოწყობ შეჯიბრება გარდამავალი დროშისათვის, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტმა დააარსა. შეჯიბრებაში გამარჯვებულებს მიენიჭებათ წოდებანი: „სახალხო არმიის გმირი, მოწინავე, მარჯვე მებრძოლი".

ამერიკელი ჯარისკაცები ვიეტნამში

ბანგკოკი, 1 აპრილი. (საკდესი). ბანგკოკში ჩამოვიდა ამერიკელ ჯარისკაცთა ჯგუფი, ამბობენ, ეს ჯგუფი ვიეტნამიდან ჩამოვიდა. ამ ჯგუფში 20 ჯარისკაცია. ამ ჯარისკაცებს ბანგკოკში ჩამოსვლისთანავე ბანკოკელ ჟურნალისტებს ინტერვიუ ჩამოართვეს. ჯარისკაცებმა ინტერვიუში აღნიშნეს, ჩვენ ვიეტნამში ვიბრძოლეთ ამერიკელ „მრჩევლებად" ითვლებოდნენ, ეს ასეთ „მრჩევლებს" ბევრ ადგილას ვხვდებოდით

ახალი პიესები · ყოფილები

ჩვენი სტუმრების ხელოვნება

იუგოსლავური სიმღერები

რამდენიმე დღის წინათ ჩვენი ქალაქის ქუჩებში ლამაზი აფიშები იუწყებოდა თბილისში იუგოსლავიის ესტრადის ვარსკვლავთა ჩამოსვლას. თბილისელებს უყვართ საესტრადო ხელოვნება, და ამიტომ გასაგებია ის ინტერესი, რომელიც მათ გამოიჩინეს მეგობრული ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრებს მიმართ...

აი დაიწყო კონცერტი. სცენაზეა საესტრადო ინსტრუმენტული ანსამბლი-სექსტეტი შესანიშნავი მუსიკოსის დრაგან ტომლიანოვიჩის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით. დარბაზში რბილი, შეწყობილი ხმოვანება იღვრება, ორკესტრი ასრულებს იუგოსლავურ ხალხურ სიმღერას, დამუშავებულს ანსამბლის ხელმძღვანელის მიერ. ორკესტრის საერთო ორიგინალურ სასიამოვნო ტემბრს ქმნის ელექტროორღანი. სწორედ ეს ინსტრუმენტი განაპირობებს ოღერადობის სირბილის, მიუხედავად იმისა, რომ სიმღერის მუსიკალური დამუშავებისას გამოყენებულია მძაფრი, ექსპრესიული რიტმები.

მაგრამ სად არის საესტრადო ორკესტრებისა და ანსამბლების მუდმივი თანამგზავრი — კონტრასტი? სცენაზე იგი არა ჩანს. თუმცა მისი „მსუყე“ ხმა ისმის. ეს ელექტროგიტარა — ბანის ხმებია. „ჩვენ ამით ორ ყურდღელს ვკლავთ“, — მიუბნება შემდეგ ანსამბლის ხელმძღვანელი დრაგან ტომლიანოვიჩი, — ელექტროგიტარა — ბანი ჩვენი ორკესტრის ღღერადობას საკუთარ ამაყოფილებს და მასთან ერთად იგი შეხეთხლილებითია ერწყმის ჩვენი ინსტრუმენტების მცირე ფორმას“.

მღერის იუგოსლავიაში ერთ-ერთი პოპულარული მომღერალი დრაგან სტოიანოვიჩი. მას ძალზე სასიამოვნო, დაბალი, ხავერდოვანი ხმა აქვს. თვით სიმღერა ნიელია და ინტიმური. მომღერალი მაყურებელთან „ლაშარის ძალიებს“ ადგილად პოულობს სიმღერის წყნარი და დამაჯერებელი ვალდებულებით: თითქოს შინ, სავარძლიში ზიხარ და რაღაც ამბავს გიყვებიან.

კარგად მიიღო მაყურებელმა ავრეთვე ვასილია რადიოკრიჩის სიმღერები, განსაკუთრებით კი კომპოზიტორ ალექსანდრე ნიკაკის „დაკარგული სიყვარული“. ეს რომანსი შესრულებული იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზედმეტი „ცრემლიანობის“ გამოუყენებლად, რაც მომღერლის კარგ გემოვნებაზე მეტყველებს.

„ჩვენს ქალაქში არის ბალები. იქ ლია ცის ქვეშ შეგიძლიათ დაისვენოთ“ — ასეთი შინაარსი აქვს სიმღერას, რომელსაც ოსტატურად ასრულებს დუშან იაკშიჩი.

სცენაზეა ვოკალურ-ინსტრუმენტული კვარტეტი „ტენორები“. მომღერლები კარგად არიან შეხმატკბილებულნი. მაყურებლის მოწონება ხვდა დალმაციური (ერთ-ერთი მხარეა იუგოსლავიაში) სიმღერების პოპურის, განსაკუთრებით კი ხალხურ სიმღერას „ჩემს გულს მხოლოდ შენ უნდიხარ“. საერთოდ კვარტეტი მეტ მუსიკალურ გამომსახველობას ლირიული განწყობილებების ვადმოცემისას აღწევს. სწორედ ამიტომ არის, რომ მეტსიკურმა სიმღერამ „მთამაგენიამ“ შედარებით ნაკლები მოწონება პპოვა.

მაყურებელი მოუთმენლობა მოელოდა პოპულარული მომღერლის რადმილა კარაკლაიჩის გამოსვლას. სცენაზე გამოჩნდება თუ არა, თავიდანვე ვვიბლავს მისი უშუალობა. ისმის იუგოსლავური სიმღერა „პატარა ვოგო“. კარაკლაიჩი მას ბრწყინვალოდ ასრულებს. მისი სიმღერა ემოციურია. იგი სიმღერას ვრძნობს და მაყურებელსაც ავრძნობინებს. სახიამოვნო ტემბრის ხმას ოან ერთვის ვამოსახვეოობის მრავალი საშუალება. მისი მუსიკალური ფრაზა დახვეწილია. მომღერალი თავისუფლად ფლობს მაღალსა და დაბალ რეგისტრებს. მისი პიანო არის ნაზი და ლირიული, მისი ფორტე — ცეცხლოვანი, ექსპრესიული. მომღერალს რიტმის არაჩვეულებრივი გრძნობა აქვს, იგი მსმენელს იტაცებს და სიმღერის სამყაროში გადაჰყავს. სიმღერას სიმღერა ცვლის.

დილაა, ახალგაზრდა ანჯელინა მიდის ზღვისაკენ. იგი თევზს ჰყიდის. მოდიან მეზღვაურები. იქვეა გიტარა, ანჯელინა მღერის. მეზღვაურები ერთმანეთს ეცილებიან: ყველა ამბობს: „ანჯელინა ჩემია“, მაგრამ ანჯელინა არავისი არ არის. მას უყვარს სიცოცხლე და თავისუფლება, — ასეთია სიმღერის შინაარსი, რომელსაც რადმილა კარაკლაიჩი შესანიშნავად ასრულებს. ამ სიმღერისათვის რადმილამ იუგოსლავიაში ძვირფასი ჯილდო, ოქროს ფირფიტა დამესახურა.

კიდევ ერთი დამახასიათებელი დეტალი — რადმილა კარაკლაიჩს არ უყვარს მიკროფონის წინ სტატიკურ მდგომარეობაში დგომა. მას მიკროფონი ხელთა აქვს, იგი სცენის ხან ერთ მხარეს არის, ხან მეორე მხარეს. მომღერალი პლასტიკურია და მოქნილი. მაგრამ მისი მოძრაობა ძუნწი და თავდაჭერილია. იგრძნობა ტაქტი და კარგი გემოვნება. იგი უმღერის სიყვარულს, მეგობრობას, სამშობლოს. „ნახვამდის, ლამაზო მთებო. მე თქვენ შემიყვარდით და წასვლის ზანს უნდა დაგეშვიდობოთ“, — უმღერის რადმილა მშობლიურ მთებს. თბილისელი მაყურებელი გულწრფელი ტაშით აჯილდოვებს მომღერალს, რომელსაც აქამდე მხოლოდ ცისფერი ეკრანიდან იცნობდა. მით უკეთესია, რომ პირადი ნაცნობობა ასეთი სასიამოვნო გამოდგა. უსმენთ რადმილა კარაკლაიჩს და რწმუნდებით, რომ „ესტრადის ვარსკვლავი“ მისი ეფშმარტად დამსახურებული ტიტულია.

ამ კარგ კონცერტს ნაკლოვანი მხარეც ჰქონდა. ინსტრუმენტული ხმოვანების ერთიანობასა და კომპაქტურობას ხანდახან არღვევდა საყვირის ხმა. ჩანს, ანსამბლთან მისი შერწყმა გარკვეულ დროსა და მუშაობას მოითხოვს. თუმცა, ვიმეორებ, ინსტრუმენტული ანსამბლის ხმოვანება საერთოდ რბილი და სასიამოვნოა. კონცერტში მონაწილეობს ახალგაზრდა მომღერალი ლადო ლესკოვარი. მის შესრულებაში მუსიკალურ ფორსა სჭარბობს ეესტესა და მიმიკის ენა, რაც, რასაკვირველია, სასურველი არ არის. ეს მცირე ხარვეზები კონცერტის საერთო კარგ იერს არ ცვლის.

მაყურებელი დარბაზს ტოვებს ნასიამოვნები. თან მიჰყავს ორიგინალური ორკესტრის კეთილხმოვანება, მილოდიები ადრიატიკის სანაპიროებიდან და რადმილა კარაკლაიჩის ბრწყინვალე სიმღერის წარუშლელი შთაბეჭდილება.

ზ. რცხილაძე.

• • •

სურათზე: ზემოთ — სოლისტი რადმილა კარაკლაიჩი; ქვემოთ — სოლისტი დრაგან სტოიანოვიჩი (მარცხნივ) და სავსტრაფო ინსტრუმენტული ანსამბლის ხელმძღვანელი დრაგან ტომლიანოვიჩი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

შემოხვევები

დაჯახება არ მომხდარა

მატარებელი სურამის სადგურიდან გამოვიდა და თანდათან სვლას უმატა. როდესაც ძრავები თვალი სიჩქარით ჩაირთო, მემანქანემ შეამჩნია, რომ მუხრუჭები მოიშალა და ძველად ემორჩილებოდნენ. მემანქანე ნერვიულობდა და ამაოდ ცდილობდა მატარებლის გაჩერებას. 400-მდე მგზავრი აშკარა კატასტროფის წინაშე იყო. ამავე მატარებლით მგზავრობდა ყოფილი მემანქანეინსტრუქტორი, ამჟამად ხაშურის სალოკომოტივო დეპოს უფროსის მოადგილე მიხეილ მაჭარაშვილი.

იგი სწრაფად შეეჭრა მემანქანის კაბინაში. მისი დახმარებით, როგორც იქნა, გაარეცხე მგზავრებით სავსე მატარებელი, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ შეიძლებოდა ხაშურიდან ლიხისაკენ მიმავალ ბენზინის ცისტერნებს დასჯახებოდა.

ი. ლაცაბიძე.

დაწვას გადარჩა

ქ. ზუგდიდის ნავთობბაზის საწყობში საწვავს მოულოდნელად ხანძარი გაუჩნდა. ეს ამბავი შენიშნა ამავე ნავთობბაზის საწყობში შემოხვევით მყოფმა ბენზინის სარეალიზაციო მაღაზიის გამგემ კ. ბულიამ. იგი მამაცურად შეებრძოლა ცეცხლს. ამასობაში ზუგდიდის სახანძრო რაზმის მუშაკებიც მოვიდნენ და ხანძარი ჩააქრეს.

ბ. ალუბიბაია.

ესპანური

არქიტექტურული პრემიერა

სანატორიუმი ლიკანში

თეთრი შენობების კონტურები ლამაზად არის შერწყმული მთების მწვანე სამოსელთან. ნაძვების ჩრდილში სეირნობენ დამსვენებლები. თქვენ წინ არის ახალი სანატორიუმი ლიკანში. მართალია, იგი ჯერ მხოლოდ არქიტექტორთა ნახაზებზე და მაკეტზეა, მაგრამ შორს არ არის ის დღე, როდესაც ეს სინამდვილედ იქცევა.

ლიკანის სანატორიუმის პროექტის ავტორები არიან „საქქალაქმშენსახპროექტის“ ინსტიტუტის არქიტექტორები გ. ჯაბუა და ე. ცხაკაია, კონსტრუქტორები გ. ჩხეიძე და ვ. კარახანეფი.

სანატორიუმს ორი კორპუსი ექნება. ერთი ოთხსართულიანი — საწოლი კორპუსი, მეორე — ერთსართულიანი, სადაც განლაგებული იქნება 250-ადგილიანი სასადილო, ფართოეკრანიანი კინოთეატრი, საბილიარდე, სამკითხველო დარბაზი და ვესტიბიული შიდა ბაღითა და შადრევნით.

ყურადღებას იპყრობს საწოლი კორპუსის ვესტიბიულის ინტერიერი, ამ კორპუსში იქნება ლიფტი და ორიგინალური ღია კიბეები, საწოლ ოთახებს ექნებათ დამოუკიდებელი საბაბანონები, ლოჯიები კი პირდაპირ ბორჯომის ხეობას გადასცქერის. ოთახებში დაიდგმება თანამედროვე ავეჯი. სანატორიუმის სახურავზე მოეწყობა სოლარიუმი.

მთელი პროექტი გადაწყვეტილია თანამედროვე სტილით. კარგად არის გამოყენებული ლანდშაფტის თავისებურებანი. პროექტმა მაღალი შეფასება მიიღო.

სურათზე: ლიკანის სანატორიუმის საწოლი კორპუსის პროექტი.

ტექსტი და ფოტო ვ. აირაპეტოვისა.

• ჩემპიონატები • ტურნირები •

დღეს სპორტის სასახლეში

ერთ ერთი ასპარეზობის მოწმენი ყოფილან თბილისელები სპორტის სასახლეში, მაგრამ მიმდინარე ტურნირი ჭიდაობაში, დღეს რომ იწყება, გაცილებით საინტერესოა. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიომი აღიარებული თურქი მოჭიდავეები თბილისის პირველი სტუმრები არიან.

მაყურებლები სპორტის სასახლის საჭიდაო ხალიჩაზე ნახავენ აგრეთვე ბულგარეთის, პოლონეთის, ფინეთის, სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენებს. სხვებზე ადრე ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ეწვევნენ თურქი მოჭიდავეები. მათ რიგებში არიან: მ. ათალანი, ნ. ქაბანლი, ა. აბიკი, გ. იღმაზი, ი. ატლი და სხვ. ბულგარელთა შორის ეხვევათ ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის პრიზიორს მუსტაფოვს, დერმენჯიევს, ტოდოროვს, გიორგიევს.

ფრე როშში

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი რომში შეხვდა ადგილობრივ „ლაციოს“, რომელიც გაძლიერებული იყო რამდენიმე პროფესიული მოთამაშით. მატჩის შედეგია ფრე — 1:1.

ანგარიში ამ შეხვედრაში გაიხსნა 35-ე წუთზე, როცა შუსტიკოვმა შემოხეთეთი თავის კარში გაიტანა ბურთი. ხუთი წუთის შემდეგ ჩისლენკომ გამოასწორა ამხანაგის შეცდომა და ანგარიში გაათანაბრა. დარჩენილ დროში მატჩის ანგარიში არ შეცვლილა.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ — იაშინი, პონომარიოვი (ჩერტკოვი), შესტერნიოვი, ლოგოფეტი, შუსტიკოვი, ვორონინი, სიჭინავა, ჩისლენკო (კაზაკოვი), ივანოვი (სერებრიანიკოვი), მეტრეველი, ჰუსაინოვი. მესხს არ უთამაშია წინა დღით მიღებული ხელის ტრავმის გამო.

იტალიის პრესის აღიარებით საბჭოთა ფეხბურთელთა შორის გამორჩეულნენ შესტერნიოვი, სიჭინავა, მეტრეველი და ჰუსაინოვი.

შვიდი გუნდი საქართველოდან

რსშსრ „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდები ზონალურ შეჯიბრებაში 25 აპრილიდან ჩაებმებიან. 115 კოლექტივი გაყოფილია ექვს ზონად. საქართველოს შვიდი გუნდი — ბათუმის „დინამო“, ფოთის „კოლხიდა“, სოხუმის „დინამო“, გურჯაანის „ალაზანი“, რუსთავის „მეტალურგი“, ტყიბულის „მეშახტე“ და ზუგდიდის „ენგური“ გაერთიანებულია მეოთხე ზონაში.

ტურნირის მთავარ ფავორიტებად საბჭოთა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს თვლიან. მათ შორის არიან მსოფლიოს ჩემპიონები ა. ალიევი და გ. საღარაძე, ოლიმპიური ჩემპიონი ა. მეფვეული, სსრ კავშირის ჩემპიონი ზ. ბერიაშვილი, ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის პრიზიორი ნ. ხოხაშვილი, ა. იბრაგიმოვი და სხვა სახელმოწოდებული მოჭიდავეები.

მოჭიდავეთა ტურნირი თბილისის სპორტის სასახლეში სამ დღეს გაგრძელდება.

ვიგრუნოთ სილამაგეგე

ხშირად ქალებს მშობიარობის შემდეგ სახეზე, კისერზე, ხელებზე მისაკისფერ ლაქებს — ქლოაზმებს გამოაყრის ხოლმე. ეს ლაქები ზოგჯერ ავადყოფობის, ვიტამინების ნაკლებობის შედეგია ან კოსმეტიკის უმართებულოდ ხმარებით, მზის ბოროტად გამოყენებით არის გამოწვეული. მიზეზი ბევრია, ისინი სხვადასხვაა და ამიტომ ქლოაზმების მკურნალობა ძალიან ძნელია. კოსმეტოლოგები კანის ზედა ფენის ამქერცლავ ასაცილელ სხვადასხვა ნიღბებსა და კრემებს იყენებდნენ. ლაქები ღია ფერისა ხდებოდა. ზოგჯერ ქრებოდა, მაგრამ შემდეგ კვლავ ჩნდებოდა წინანდელ ადგილზე.

ყველა ქვეყანაში ექიმები ახალ გზებს ეძებენ კოსმეტიკაში. კრემები, ნიღბები, ლოსიონები... დიდიხანია დროა განახლდეს სილამაზის ეს ნაკადი არსენალი. კანი ცოცხალი ორგანიზმის ნაწილია, მასთან ერთად ვთარდება, მასთან ერთად ბერდება. ყოველი არასასიკეთო მდგომარეობა საერთო მეურნეობაში — ავადყოფობა, ნერვული მოქმედების მოშლილობა, ზედმეტი დაქანცვა — აუცილებლად დაეტყობა კანსაც; პირიქით — ჯანმრთელობა, კარგი გუნება ადამიანს, როგორც იტყვიან შუდამ სახეზე აწერია.

ექიმმა ლიუდმილა რადოვსკაიამ გადაწყვიტა გამოეცადა, თუ რა კოსმეტიკური თვისებები აქვს პლაცენტას — ქსოვილს, რომელსაც მიემგზავნა ხოლმე ნაყოფი დედის ორგანიზმში. მშობიარობის დროს ორგანიზმი მას იცილებს და იგი სრულიად გამოუყენებელი რჩება. იგი კი უაღრესად მდიდარია ამინომჟავებით, ვიტამინებით, ჰორმონებით, ფერმენტებით —ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, რომლებიც იაჭრია ცოცხალი უჯრედების ზრდა-განვითარებისათვის.

ქიმიურ საშუალებათა გამოყენებით რადოვსკაიამ შეძლო მიეღო პლაცენტის პირველი ნაყური — უფერული გამჭვირვალე ზეთი. ამ საფუძველზე მოშზადებულ იქნა კრემი, რომელიც 40 პროცენტ პლაცენტურ ექსტრაქტს შეიცავს.

და აი პირველი პაციენტი პიგმენტური ლაქებით, შემდეგ მეორე, მესამე. ლაქები გასაოცრად დამჭკნარდ

ეცემოდნენ: ჯერ მკრთალი ხდებოდნენ, ხუნდებოდნენ, ბევრ პაციენტს-კი მთლად უქრებოდნენ. ყველაზე დამჭკნარ, მშრალ, დანაოჭებულ სახეზე უკვე 30-40 პროცედურის შემდეგ კანი შესაშნეველად გლუვდებოდა, ელასტიკური ხდებოდა. ცდებმა, ანალიზებმა, სპეციალისტთა კონსულტაციებმა დაადასტურა, რომ პლაცენტური კრემი არა მარტო პიგმენტურ ლაქებს სპობს, არამედ კანის საერთო მდგომარეობასაც აუჯობესებს.

ხანში შესვლისას, როგორც ცნობილია, ნელდება, ქრება შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედება, ისინი ნაკლებ ჰორმონებს გამოყოფენ. პლაცენტური კრემის გამოყენების შემდეგ ორგანიზმში სქესობრივი ჰორმონის რაოდენობა შესამჩნევად მატულობს. იქნებ იგი პირდაპირ პლაცენტიდან გადადის? მაგრამ აქ შესაძლოა გართულებანი. ჰორმონული პრეპარატები ორლესული იარაღია, ოდნავი გადახრა ერთ თუ მეორე მხარეს შეიძლება საშიში გახდეს. მაგრამ ცხოველებზე გაკეთებულმა ცდებმა ცხადყო, რომ პლაცენტის ექსტრაქტში ქალის სქესობრივი ჰორმონის მხოლოდ უმნიშვნელო ნამსხვრევები რჩება. ეტყობა, რაღაც ბიომასტიმულირებელი ნივთიერებანი, რომელთა ბუნება საესებით ცხადი როდია, იწვევენ ორგანიზმის ტონიზაციას და ხელს უწყობენ მას უფრო სწრაფად, ენერგიულად აწარმოებდეს „გამაახალგაზრდავებელ“ ჰორმონებს საკუთარი ძალებით.

— ხომ არ წარმოადგენს ახალი საშუალება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და ჰოლონეთიდან შემოსული პლაცენტური კრემების დუბლირებას? — ვკითხე რადოვსკაიას, — და, მეორე: როდის გამოჩნდება ეს სიახლე მაღაზიებში?

— იმპორტული კოსმეტიკა, — მიპასუხებს დოქტორი რადოვსკაია, — თავისებური „შიფრია“ ექიმებისათვის. ჩვენ არ ვიცით სხვა ქვეყნებში დამზადებული კრემების ზუსტი შემადგენლობა, ჩვენს ქვეყანაში ისინი შემოწმებული არ არის კლინიკურ პირობებში. ცხობილია მხოლოდ, რომ ისინი ნავარაუდევი არ არის პიგმენტურ ლაქებთან საბრძოლველად. უფრო ძნელია პასუხის გაცემა მეორე კითხვაზე. კრემის დოკუმენტაცია, მეცნიერული დასკვნები, რეკომენდაციები წარმოებისათვის მოსკოვის საქალაქო სახალხო მეურნეობის საბჭოს სამედიცინო და საპარფიუმერიო მრეწველობის სამმართველოშია. ჯერ-ჯერობით მას ვამზადებთ ლაბორატორიული გზით მოსკოვის საკენიმ - კოსმეტიკურ სამკურნალოში, პეტროვკა 12.

ტ. კოსტიგოვა.

ნარსულის ჭეშტიანე

მთიან რაჭაში ძველი დროის სამეურნეო დანიშნულების მრავალი ნაგებობაა შემორჩენილი. მათ შორის საყურადღებოა ქაური „მაჩა“.

„მაჩას“ კალოს პირას აშენებდნენ, საბძლის მოპირდაპირე მხარეს. იგი ქვიტკირით ნაგები ხამკედლანი შენობაა, კალოს მხრიდან ღიად დატოვებული, ზემოდან ყავრით გადახურული.

დაცვის მიზნით კალოს ქვის ფიცრებით როგორც იქ, ამბობენ „ქეცებით“ ღობავდნენ, ღია რჩებოდა მხოლოდ სახლისაკენ მიმართული მხარე, სადაც ხის სარებით შეკრულ გრძელ კარს ე. წ. „ალაგ — კარებს“ აბამდნენ. ამ გზით კალოზე გასალეწად შეჰქონდათ პურისა და ქერის კონები; საბძელში ჩასაყრელად თივა და ჩალა, მაჩაში დასაწყობად შეშა და სხვ.

„მაჩას“ სამეურნეო ცხოვრებაში დიდი გამოყენება ჰქონდა, განსაკუთრებით თიბვა-მკის სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით. ამ დროს ყანებიდან მოჰქონდათ პურისა და ქერის „წერები“ (ხარზე დაზეინული კონები), რომლებსაც დაშლიდნენ და კონებს მაჩაში გაალაგებდნენ, რათა მოულოდნელად წვიმას არ გაეფუჭებინა. კარგ ამინდში ნამჯას კალოში ჩაუდგამდნენ და ლეწვას დაიწყებდნენ. თუ კალობაზე ამინდი გაფუჭდებოდა, ბზესა და ჩალას თავისი ხვავით „მაჩაში“ მიხვეტავდნენ სპეციალური „არხადიო“. „მაჩაში“ მშრალად შეინახებოდა ჩალა და ბზე პურით, მერე კარგ ამინდში ლეწვას განაგრძობდნენ.

მკის სეზონის დამთავრება შედგა მაჩაში ინახავდნენ „სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნივთებს. აქვე სრულდებოდა გარკვეული შრომითი საქმიანობა — მაჩაში გამართავდნენ ტყავის საზელს ე. წ. „საღეჭელს“ და ტყავს ზელდნენ.

აღსანიშნავია, რომ „მაჩა“ კონსტრუქციულად და დანიშნულებითაც ერთგვარად ხევსურულ კალოს წაგავს.

ს. რეხვიაშვილი.



სურათზე: რაჭული „მაჩა“.

ბოკლედ ყველაფერზე

ტაქსი ქალებისათვის

ინტალიელ ვიტა მატანგა პალერმოდან პირველი ქალია სიცილიაში, რომელმაც ტაქსის მძღოლის უფლება მიიღო. მაგრამ ვიტას თავისი მანქანით მხოლოდ ქალები დაპყავს. „ეგრა მაკლია, რომ მამაკაცები ვატარო“, — განაცხადა მან.

600-მდე წლის კუ

სამხრეთკორეელი მეგადურები მოგვითხრობენ, რომ მათ დაიჭირეს კუ, რომელსაც ზურგზე მიმაგრებული ჰქონდა ფირფიტა შემდეგი წარწერით: „ეს კუ მინის დინასტიის მართვის მე-14 წელს წყალში გაუშვეს კონგჩენის ბერებმა“. როგორც ცნობილია, ეს დინასტია ჩინეთს ფლობდა 1368 წლიდან 1644 წლამდე. მაშასადამე, კუ ახლა დაახლოებით 600 წლისაა. შებადურებმა ამ ცხოველს კვლავ აჩუქეს თავისუფლება.

ქალთა ბანკი

ჯაკარტაში (ინდონეზია) გაიხსნა ბანკი, რომლის ყველა თანამშრომელი — დირექტორიდან შიკრიკამდე — ქალია.

დამრბევი მაიმუნები

ჭალაქ ლას-კორეში (სომალი) ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შექმნეს მაიმუნებთან საბრძოლველი რაზმები. ამას წინათ მაიმუნთა მრავალრიცხოვანი ურდოები თავს დაესხნენ ქალაქს, ააოხრეს სახლები, მაღაზიები, სასურსათო და სამრეწველო საქონლის დუქნები. მაიმუნების შესევით გამოწვეული ზარალი მეტად დიდია.

ორიენტირი — დედა

ნორვეგიის სანაკადაგური ქალაქ ბერგენის გარეუბანში ერთ-ერთ ბინაში ერთ-ერთ ბინაში ერთ-ერთ ბინა